www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 22 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3340 (197) | ფასი 50 თეთრი

აბაშაში „ქართული ოცნების„ შტაბის უფროსი მაჟორიტარ დეპუტატს ცემაში ადანაშაულებს

კოალიცია „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელი აბაშის მუნიციპალიტეტში გიორგი გვილავა საპარლამენტო უმცირესობის წევრს, აბაშის მაჟორიტარ დეპუტატ დავით დარცმელიძეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს. როგორც გვილავა ჰყვება, 20 ოქტომბერს, ღამით, საკუთარ ჭიშკართან იმყოფებოდა, როდესაც მას დარცმელიძე, თანმხლებ პირებთან ერთად, ჯერ სიტყვიერად, ხოლო შემდეგ ფიზიკურად დაუპირისპირდა. გვილავას თქმით, სანამ იგი სახლში დაბრუნდებოდა, თანმხლებ პირებთან ერთად მყოფმა დარცმელიძემ მისი ოჯახის წევრებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. **„არ ვიცი, ეს აგრესია საიდან წამოვიდა. ალბათ, გაღიზიანებულები არიან იმის გამო, რომ ხელმოცარულები არიან. აგონიაში არიან. მეც ვერ გავიგე, რატომ გააკეთეს ასეთი რამ. ქურთუკი შემომახიეს, ჩემი ოჯახის წევრებს და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს აგინებდნენ. მთვრალები იყვნენ,“** - აღნიშნა გიორგი გვილავამ, რომელმაც ინციდენტის შესახებ ინფორმაცია პოლიციას შეატყობინა. მისი დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა.

აღნიშნულ ფაქტს პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი აბაშაში არჩევნების დისკრედიტაციის მცდელობად აფასებს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ოროსანი მოწმეები

ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის ადვოკატები ბრალდების მხარის მოწმეთა მიერ ე.წ. შპარგალკების გამოყენებას აპროტესტებენ

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გუშინ ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა. გუშინდელ პროცესს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვანო მერაბიშვილი არ დასწრებია.

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და კახეთის გუბერნატორ ზურაბ ჭიაბერაშვილს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ე.წ. დასაქმების პროგრამის ფარგლებში ამომრჩევლის მოსყიდვას ედავება.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მექსიკა და საფრანგეთი აშშ-ს შპიონაჟს აპროტესტებენ

ობამა და პენია ნიეტო

ივა შილაკაძე

აშშ-ს სპეცსამსახურების ყოფილი და ამჟამად დევნილი აგენტის ედუარდ სნოუდენის მიერ მედიისთვის გადაცემული ინფორმაცია, რომელსაც ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა გამოცემები პერიოდულად აქვეყნებენ, კვლავ იწვევს საერთაშორისო სკანდალებს და რიგი სახელმწიფოების ურთიერთობის გაფუჭებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

საზარელი ტერაქტი ვოლგოგრადში

ივა შილაკაძე

ვოლგოგრადში ორშაბათს, 14:05 საათზე, თვითმკვლელმა-ტერორისტმა ქალმა ავტობუსში თავი აიფეთქა, რასაც 7 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა (ტერორისტის ჩათვლით), ხოლო 33 ადამიანი დაიჭრა. დაჭრილთაგან 5 ადამიანს შედარებით მსუბუქი ტრავმა აქვს, ხოლო 28 საავადმყოფოებში მოათავსეს. მათგან 8 ადამიანის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. დაჭრილებს შორის 12 არასრულწლოვანია, მათ შორის - ერთი წლის ბავშვიც.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ევროპაში ფლეი ოფის წყვილები გამოვლინდა

გიგა გურასაშვილი

ციურიხში, ფიფას შტაბბინაში ჩატარებული კენჭისყრის შემდეგ მსოფლიოს 2014 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფლეი ოფში ევროპულ ზონაში დაწყვილებული გუნდების ვინაობა გახდა ცნობილი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში მეორე ადგილზე გასული რვა საუკეთესო გუნდი, შინ და სტუმრად თამაშის პრინციპით, 15 და 19 ნოემბერს ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას.

ერთი სიტყვით, კამათელი გაგორებულია. ახლა გასარკვევია დარჩენილი ოთხი საგზურის მფლობელი, რომელიც ევროპის კონტინენტიდან უკვე გასულ ცხრა ნაკრებს შეუერთდება. კენჭისყრამდე კი განთესილები იყვნენ: პორტუგალია (მე-14 ადგილი ფიფას რეიტინგში), საბერძნეთი (მე-15 ადგილი), ხორვატია (მე-18 ადგილი), უკრაინა (მე-20 ადგილი).

ფიფა/კოკა-კოლას 17 ოქტომბრის მსოფლიო რეიტინგის მიხედვით, განუთესავებში მოხვდნენ საფრანგეთი (21-ე ადგილი), შვედეთი (25-ე ადგილი), რუმინეთი (29-ე ადგილი) და ისლანდია (46-ე ადგილი).

გაგრძელება მე-7 გვერდზე

კონკურსი წერის მსურველთათვის

ლიტერატურული „წერრო“ ორწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ გაიმართება

ია ვეკუა

ზუსტად ორი წლის წინ დაახლოებით ამ დროს ლიტერატურული კონკურსი „წერრო“ მიმდინარეობდა. 11 მოთხრობის ავტორი ერთმანეთს ანონიმურად „ერკინებოდა“, მათი ნაწარმოებების ავ-კარგიანობას კი ჟიური აფასებდა. 2011 წლის „წეროს“ გამარჯვებული მაშინ მარი ბექაური გახდა მოთხრობისთვის „ბავშვობა, როგორც სინამდვილეშია“, წლევანდელი კონკურსის საუკეთესო სამეულს კი 28 ნოემბერს დაასახელებენ.

დაჯილდოების ცერემონიალამდე კი თავად კონკურსი უნდა ჩატარდეს, რაც ინტერნეტ სივრცეში მოხდება.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

გიორგი მარგველაშვილი - მეორე ტურზე უარის თქმა უკან დახევას კი არა, თავდასხმას ნიშნავს

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე უარის თქმა უკან დახევას კი არა, თავდასხმას ნიშნავს, - ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა „შერატონ მეტეხი პალასში“ სპორტსმენებთან შეხვედრისას განაცხადა.

საკითხი გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ნინო სალუქვაძემ წამოწია.

ნინო სალუქვაძემ პრეზიდენტობის კანდიდატს მოუწოდა, ორი და მეტი ტურიც რომ დასჭირდეს, არ გაჩერდეს იმ ბრძოლაში, რომელშიც ჩართულია საპრეზიდენტო არჩევნების სახით.

„ბევრი ადამიანი გიდგათ გვერდში, მათ შორის ჩემი სახით. თქვენ ორი და ათი ტურიც რომ დაგჭირდეთ, უარი არ უნდა თქვათ ამ ბრძოლაში ბოლომდე მონაწილეობაზე,“ - განაცხადა ნინო სალუქვაძემ.

გიორგი მარგველაშვილის თქმით კი, თავდასხმა საჭიროა იმისთვის, რომ სრულად იქნეს მობილიზებული ძალები.

„მეორე ტურზე უარის თქმა უკან დახევას არ ნიშნავს. ამით ჩვენ ნათლად ვაჩვენეთ, რომ ვიგებთ პირველ ტურში. ეს განცხადება უკან დახევა კი არა, თავდასხმაში გადასვლაა. ეს გავაკეთეთ იმიტომ, რომ ბოლომდე გაგვეაქტიურებინა ჩვენი რესურსი, რათა გვეჩვენებინა, რომ ეს არ არის თამაში. თავდასხმისთვის გვჭირდება ძალების მობილიზება და იმპულსირება. უბრალოდ, კი არ ვიგებთ, ეს იქნება პოზიტიური დარტყმა და ასევე განაჩენი იმ ყველაფრისა, რაც აქამდე საქართველოში ხდებოდა,“ - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მცხეთა-თბილისის მონაკვეთზე მოძრაობის რეჟიმი დროებით შეიცვლება

მცხეთა-თბილისის ოთხზოლიან მონაკვეთზე (კმ 17-კმ 21), მარცხენა მიმართულებით, (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით) 22 ოქტომბრის 08:00 საათიდან ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან აცნობეს, ამის მიზეზი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ზაჰესი-ნატახტარის მონაკვეთზე (კმ 17-კმ 27) მიმდინარე ასფალტ-ბეტონის საფარის აღდგენითი სამუშაოებია, რომელიც გზების დეპარტამენტის დაკვეთით ხორციელდება.

ავტოტრანსპორტი დასავლეთისაკენ არსებული გზის მარჯვენა მიმართულებით იმოძრავებს, ხოლო დასავლეთიდან მოძრავი სატრანსპორტო ნაკადი თბილისის შემოსავლელ საავტომობილო გზაზე გადაერთვება.

გზების დეპარტამენტის ცნობით, დროებითი რეგულირების მიუხედავად, სატრანსპორტო მოძრაობა შეუფერხებლად, ცალმხრივი მოძრაობის რეჟიმში გაგრძელდება.

საქართველოს პარლამენტი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პარლამენტის წევრის ვიქტორ ჯაფარიძის დედის

ვენერა პაკელიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მას.

საქართველოს პარლამენტი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პარლამენტის წევრის ნანა ყეინიშვილის ძმის

ზაზა ყეინიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მას.

ბიძინა ივანიშვილი: მეორე ტური არ შედგება, მე ამას დაჟინებით მოვითხოვ

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „ფრანს პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური გვამი უწოდა და არ გამორიცხა, რომ სააკაშვილი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ სასამართლოს წინაშე წარდგეს.

„სააკაშვილი პოლიტიკური გვამია. მას აღარასდროს ექნება პოლიტიკური კარიერა საქართველოში. ჩემი აზრით, სააკაშვილს ბევრი შეკითხვისთვის აქვს პასუხი გასაცემი და სწორედ ამიტომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ის დაიკითხება,“ - განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა ფრანგულ სააგენტოს.

პრემიერის თქმით, პროკურორები გადაწყვეტილებას გამოძიებაზე დაყრდნობით მიიღებენ და ეს არ იქნება პოლიტიკურად მოტივირებული პროცესი.

ბიძინა ივანიშვილის აღნიშნულ განცხადებას, როგორც საპარლამენტო უმცირესობის, ისე უმრავლესობის წევრებიც გამოეხმაურნენ.

კოალიცია «ქართული ოცნების“ წევრი ლევან ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ ყოფილ პრეზიდენტს შურისძიებისთვის არავინ დააპატიმრებს.

რაც შეეხება იმას, იქნება თუ არა შეკითხვები პრეზიდენტ სააკაშვილთან, რა თქმა უნდა, იქნება. უბრალოდ, თუ საქართველოს ინტერესებში არ იქნება ყოფილი პრეზიდენტის დაპატიმრება, ის არ იქნება დაპატიმრებული მარტო იმიტომ, რომ ვიღაცამ შური იძიოს. ჩვენ ყველანი - მე, თქვენ, პრემიერი - აქ ვერაფერს ვიზამთ, ეს სასამართლოს საქმეა და თუ დანაშაული აღმოჩნდება, ის პასუხს აგებს. არავინ იქნება დაცული, თუ აღმოჩნდება თუნდაც უმნიშვნელო დანაშაული. გასაგებია, რომ ეს ასე არ მოხდება, მაგრამ მასთან შეკითხვები არსებობს და აუცილებლად ექნება, მათ შორის, პროკურატურასაც,“ - განაცხადა ბერძენიშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი კი აცხადებს, რომ აქამდე მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკურ გვამად ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი მოიხსენებდნენ, ახლა კი მათ გვარებს ივანიშვილიც შეემატა.

„სააკაშვილი რომ პოლიტიკური გვამია, ეს 2008 წლიდან მოყოლებული გვესმის. ამას, ძირითადად, ორი პოლიტიკოსი ამბობდა და ამ განცხადებას, ძირითადად, რუსულ ენაზე ვისმენდით, რადგან ამას ხან პუტინი იმეორებდა, ხან მედვედევი. დღეიდან მათ კიდევ ერთი პატივცემული გვარი დაემატა - ბატონმა ივანიშვილმაც პოლიტიკური გვამი უწოდა სააკაშვილს. მინდა, მათ ვუთხრა, რომ ნუ აჩქარდებიან, პოლიტიკა არ არის ერთ და ორწლიანი მოვლენა, არჩევნებში ერთხელ გამარჯვებით დიდად ეიფორიაში ნუ ჩავარდებიან და ნუ გადაყვებიან პოლიტიკურ ბოღმებს. რაც შეეხება დაკითხვას, სააკაშვილის დაპატიმრებას და ასე შემდეგ - ესეც არაერთხელ მოგვისმენია პუტინისგან და მედვედევისგან, ვიცით, რომ ეს მათი ოცნებაა, ვიცით, რომ ეს მათი ქართველი ქვეშევრდომების ოცნებაც არის, მაგრამ ვნახოთ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, წყნარად მივყვეთ პოლიტიკურ მოვლენებს,“ - განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

ცნობისათვის - ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც საქართველოს პრემიერი საქართველოს პრეზიდენტის შესაძლო დაკითხვაზე საუბრობს. ბიძინა ივანიშვილს ამ თემაზე ქართველ ჟურნალისტებთანაც არაერთხელ უსაუბრია.

გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილმა „ფრანს პრესთან“ ინტერვიუში პრემიერის პოსტიდან გადადგომის შესახებ კიდევ ერთხელ განაცხადა.

„ინაუგურაციიდან ერთ კვირაში გადავდგები და პრემიერ-მინისტრის პოსტს 24 ნოემბრამდე დავტოვებ,“ - აღნიშნა ივანიშვილმა.

ამასთან, ფრანგულ სააგენტოსთან საუბარში პრემიერ-მინისტრი „დაჟინებით მოითხოვს“, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური არ შედგება.

ვამტკიცებ, რომ მეორე ტური არ იქნება, ჩვენი კანდიდატი პირველივე რაუნდში გაიმარჯვებს. მეორე ტური არ შედგება, მე ამას დაჟინებით მოვითხოვ,“ - თქვა პრემიერმა.

ბოლოს ივანიშვილი «ფრანს პრესთან» ინტერვიუში იმ პროგნოზსაც გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, იგი თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ქვეყნის მართვას კულისებიდან გააგრძელებს. **ამაში ლოგიკას ვერ ვხედავ,“** - შენიშნა პრემიერმა.

დაპირებული „ახალი საწარმოების“ სია კონფიდენციალური აღმოჩნდა

სოფლის მეურნეობის სამინისტრო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საწარმოების სრულ სიას და საკონტაქტო ინფორმაციას არ ასაჯაროვებს. როგორც News.ge-ს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში განუცხადეს, დაფინანსებულ საწარმოებზე ინფორმაცია კონფიდენციალურია და მათი სრული სია ვერ გასაჯაროვდება.

«ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ რამდენიმე საწარმო გითხრათ, თუმცა კოორდინატების გაცემის უფლება არ გვაქვს. სესხს ამტკიცებს და გასცემს ბანკი, სამინისტრო იხდის მხოლოდ პროცენტს. მეწარმეებზე ინფორმაციის გაცემის უფლება არ გვაქვს, რადგან შესაძლოა, მათ თავად არ სურდეთ ინფორმაციის გაცემა და ამის გამო შეიძლება, ან თავად მეწარმემ მიჩივლოს, ან ბანკმა, ან ბანკების ასოციაციამ, რადგან არ გვაქვს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემის უფლება,» - აცხადებს პროექტების მართვის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სოფო მდინარაძე.

მისივე თქმით, მედიის წარმომადგენლებს შეიძლება, მიეწოდოთ ინფორმაცია მხოლოდ რამდენიმე საწარმოს შესახებ და ისიც მხოლოდ მეწარმესთან წინასწარი შეთანხმებით.

ცნობისათვის - თავად პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საწარმოებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად მედიის წარმომადგენლები სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მას შემდეგ გადაამისამართა, რაც ჟურნალისტმა მას უკვე დაფინანსებული 5 საწარმოს დასახელება სთხოვა.

ამასთან, როგორც პრემიერმა აღნიშნა, დაგეგმილი 60 საწარმოს ნაცვლად, სახელმწიფომ 230 საწარმო დააფინანსა. თუმცა ამ საწარმოებზე სრულ ინფორმაციას, როგორც აღმოჩნდა, პროექტების განვითარების სააგენტო კონფიდენციალურობის მოტივით არ ასაჯაროვებს.

მოგვიანებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ახალი და მოქმედი საწარმოების ამსახველი რუკა გამოაქვეყნა.

საწარმოები «შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის» ფარგლებში ფინანსდება. პროექტი, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ შეიმუშავა და ახორციელებს, ხოლო «სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვთარების ფონდი» აფინანსებს. პროექტში ჩართულია 12 ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. პროექტებს განიხილავს და ამტკიცებს ბანკი და ამ პროცესში სოფლის მეურნეობის სამინისტრო და პროექტების მართვის სააგენტო არ ერევა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, დაფინანსებულია მესაქონლეობა, მეთევზეობა, სასათბურე მეურნეობა, მარცვლეულის საშრობი და წარმოება, სხვადასხვა სახის საწარმოები.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ორასანი მოწმეები

პირველი გვერდიდან

ამასთან, მერაბიშვილს კვარიათში მდებარე აგარაკის მისაკუთრებაშიც ედება ბრალი.

სასამართლო პროცესის დაწყებამდე კახეთის გუბერნატორმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა პროკურატურის ბრალდებებს უსუსური უწოდა.

„ხელისუფლების მხრიდან ცოტა სასაცილოა, მე და მერაბიშვილს იმაში შეგვედაონ, თითქოს იმიტომ ბრალდებულები ვართ, რომ ხალხის დასაქმება გადავწყვიტეთ. მაშინ როცა დღევანდელი ხელისუფლების პერიოდში იმ ადამიანებმაც დაკარგეს სამუშაო, ვინც ჩვენ დროს მუშაობდა.

მათი ბრალდებები, მსუბუქად რომ ვთქვათ, უსუსურია,“ - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

გუშინდელი პროცესი, დაახლოებით, ხუთ საათს გაგრძელდა და ბრალდების მხარის ოთხი მოწმე დაიკითხა - სამი დასაქმების პროგრამის, ხოლო ერთი აგარაკის ეპიზოდის შესახებ.

ბრალდების მხარემ მოწმის სახით აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების მონიტორინგის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ აზნაურაშვილი გამოიძახა.

აზნაურაშვილის ინფორმაციით, ის აღნიშნულ თანმდებობაზე ივნისის დასაწყისში დაინიშნა, ხოლო პროკურატურის მიმართვის საფუძველზე დასკვნა ივლისის შუა რიცხვებში გასცა. ზურაბ აზნაურაშვილის თქმით, სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამაში ჩართულ პირთა სია «ნაციონალური მოძრაობის» პარტიული აქტივიდან იყო წარმოდგენილი. მისივე თქმით, მან მხოლოდ სამი ჩვენება წაიკითხა, რომლებშიც საუბარი იყო იმაზე, რომ პროგრამაში ჩართულ ადამიანებს სამუშაო არ შეუსრულებიათ.

„მე ძირითადი ჩვენებები გადავამოწმე, რაზეც დასკვნა იყო მომზადებული. პროკურატურისთვის გასაგზავნ წერილზე 4-5 კაცი მუშაობდა, - განაცხადა აზნაურაშვილმა.

ზურაბ აზნაურაშვილის ჩვენებიდან გამომდინარე, დაცვის მხარემ იმ 4 ადამიანის პროცესზე დაკითხვა მოითხოვა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

ამასთან, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმე იყო ბორის ჩოფიანიც. ჩოფიანის შესახებ მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ იგი პროკურატურის მიერ შედგენილ ტექსტს კითხულობდა და „შპარგალკის“ გარეშე საუბარი არ შეეძლო.

ფინანსთა სამინისტროს იურიდიული განყოფილების სპეციალისტ ბორის ჩოფიანის განმარტებით, მას სასამართლო პროცესზე „შპარგალკა“ არ ჰქონია და იმ ჩანაწერში, რომელიც თავად შეადგინა, პერიოდულად იმიტომ იყურებოდა, რომ თარიღები და რიცხვები არ შეშლოდა.

„საბედნიეროდ, სასამართლო პროცესებზე დასწრების და განცხადებების გაკეთების გამოცდილება არ მაქვს. ამიტომ რაღაცები რომ არ შემშლოდა, გავაკეთე ჩანაწერი და ციფრებისა და თარიღებისთვის იქ ვიხედებოდი,“ - განაცხადა ჩოფიანმა.

ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, თუ პროცესზე ბრალდების მხარის ათასობით მოწმე „შპარგალკით“ უნდა მივიდეს, სასამართლოს აზრი არა აქვს.

ჭიაბერაშვილი მოწმეების ჩანაწერების ექსპერტიზას მოითხოვს იმის დასადგენად, რეალურად მოწმის მიერ არის თუ არა დაწერილი ჩანაწერი.

„თუ ბრალდების მხარის მოწმეები პროცესზე „შპარგალკით“ უნდა მოვიდნენ და ეს ტექსტი ვინმემ უნდა შეუდგინოს, მაშინ რა აზრი აქვს სასამართლოს, პირდაპირ ჩამსვით ციხეში. ექსპერტიზის ჩატარებას მოვითხოვ, რათა დადგინდეს, არის თუ არა ეს ჩანაწერი მოწმის მიერ დაწერილი“, - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

გუშინდელი პროცესი დასრულების შემდეგ, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარემაც შეაფასა.

ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი მიიჩნევს, რომ პროცესი კომიკური იყო. ადვოკატის თქმით, ფინანსთა სამინისტროდან და აუდიტის სამსახურიდან წარმოდგენილმა მოწმეებმა, ასევე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კვარიათის სახლის ეპიზოდზე დაზარალებულად ცნობილმა მოწმემ მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის უდანაშაულობა დაამტკიცეს.

პროკურორ ნათია სონღულაშვილის თქმით კი, ბრალდების მხარის მოწმეებმა აჩვენეს, რომ სახეზეა «ნაციონალური მოძრაობის» მხრიდან ამომრჩევლის მოსყიდვა. როგორც პროკურორი ამბობს, მომდევნო პროცესზე ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლებსა და სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის ბენეფიციარებს დაკითხავენ, რომლებიც აცხადებენ, რომ „ნაციონალების“ სასარგებლოდ აგიტაცია გაწიეს.

აღნიშნულ საქმეზე მოწმეთა დაკითხვის ეტაპი 24 ოქტომბერს, 12:00 საათზე გაგრძელდება.

მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო ბიბლიოთეკისთვის შემოწირულობას ითხოვს

მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის მშენებლობის დროულად დასრულებისთვის ორგანიზაციებსა და პარტნიორებს ფინანსური შემოწირულობით დახმარების თხოვნით მიმართავს, - ამის შესახებ განცხადება მიხეილ სააკაშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა.

საქართველოს პრეზიდენტი კომპანიებს, უნივერსიტეტებსა და მოქალაქეებს საპრეზიდენტო ბიბლიოთეკისთვის წიგნების გადაცემის თხოვნითაც მიმართავს.

„ძვირფასო მეგობრებო! თქვენთვის ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინ საფუძველი ჩავუყარეთ საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის მშენებლობას და მისი დროულად დასრულება ძალზე მნიშვნელოვანია. ეს არის პროექტი, რომელიც ახალგაზრდა თაობას საშუალებას მისცემს, შეიძინოს ცოდნა და მიიღოს უახლესი ინფორმაცია პოლიტიკური მეცნიერების, საჯარო მმართველობის, ისტორიის, სამართლის, არქიტექტურისა და დიზაინის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ მსურველებს ამ ბიბლიოთეკით სარგებლობა უფასოდ შეეძლებათ. ამიტომ, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ დროულად მოვიპოვოთ დაფინანსება და ხორცი შევასხათ ჩვენს წამოწყებას.

ალბათ იცით, რომ ბიბლიოთეკას უკვე აქვს რამდენიმე ათასი წიგნი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამიტომ, ჩვენს თანამოქალაქეებს, უნივერსიტეტებს, ფონდებს, ბიზნესკომპანიებს მოვუწოდებ, შემოწირონ ბიბლიოთეკას წიგნები პოლიტიკური მეცნიერების, საჯარო მმართველობის, ისტორიის, სამართლის, არქიტექტურისა და დიზაინის მიმართულებით. ასევე, მინდა, ვთხოვო ყველას, ორგანიზაციებსა თუ სხვა პარტნიორებს, ფინანსური შემოწირულობითაც დაგვეხმარონ ბიბლიოთეკის მშენებლობის დროულად დასრულებაში, რა თქმა უნდა, შეძლებისა და სურვილის შესაბამისად, მით უმეტეს, რომ ამ პროექტისადმი ინტერესი საზოგადოებამ უკვე გამოხატა,“ - ნათქვამია განცხადებაში.

პრეზიდენტის „ფეისბუქის“ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, წიგნების მიწოდება შესაძლებელია საქართველოს უნივერსიტეტში, მისამართზე - საქართველო, თბილისი, 0171; მ. კოსტავას ქ. # 77 ; ტელ: +995 32 255 22 22.

ფულადი შემოწირულობისთვის კი მოქალაქეებს შეუძლიათ, გამოიყენონ საბანკო ანგარიში - მიმღები ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“; ბანკის კოდი: BAGAGE22; მიმღების დასახელება: ა(ა)იპ ფონდი სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა მიმღების ანგარიშის ნომერი: GE37BG0000000359612900

პრეზიდენტი მადლობას უხდის ყველას, ვინც დახმარების სურვილი უკვე გამოთქვა.

„ჩვენ ერთად გავაკეთებთ ჩვენი მომავლის პროექტს!“, - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობა უარყოფს ინფორმაციას ირაკლი ალასანიასთან დაპირისპირების შესახებ

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, მისთვის გაუგებარია ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს მსგავსი ტიპის ინფორმაციების გავრცელება.

„ძალიან ხელოვნურად ხდება ამ თემის წამოწევა. არ ვიცი, ვისთვის არის ეს საინტერესო და ვის ინტერესებშია, რომ პოლიტიკურ დღის წესრიგში მუდმივად იყოს, თითქოს რაღაც ხდება, დაპირისპირების მაგვარი ირაკლი ალასანიას და კოალიციის წევრებს შორის. მინდა, გითხრათ და დაგარწმუნოთ, რომ ამდაგვარი არაფერი ხდება,“ - განაცხადა ეკა ბესელიამ.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ლევან ბერძენიშვილმაც გააკეთა. დეპუტატი მიიჩნევს, რომ მსგავსი შინაარსის ინფორმაციის გავრცელება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირდება და აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება სათავეს მმართველი კოალიციის კონკურენტი საარჩევნო შტაბებიდან იღებს.

„ეს ხმები წინასაარჩევნო სხვა შტაბებიდან მომდინარეობს. არანაირი დაპირისპირება არ არსებობს, ამის საფუძველი არ არის, ხოლო დაპირისპირების და გუნდის დასუსტების სურვილი აქვთ ჩვენს მეტოქეებს საპრეზიდეტო არჩევნებში. ყოველთვის, როცა საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ითქმევა ასეთი რამები, უნდა იცოდეთ, რომ ეს უკავშირდება მხოლოდ არჩევნებს და სიმართლესთან პირდაპირი კავშირი არ აქვს,“ - განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

შსს უჩა ნანუაშვილს პასუხობს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს პასუხობს და მონიტორინგის ჯგუფის წევრებს პროვოკაციულ და უპასუხისმგებლო ქმედებებში ადანაშაულებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გიორგობიანმა განუცხადა, 17 ოქტომბერს საგარეჯოს პოლიციის სამმართველოში მომხდარი ინციდენტის შესახებ სახალხო დამცველს კიდევ ერთხელ განუმარტავენ, რომ საგარეჯოს პოლიციის სამმართველოს სამორიგეო ნაწილში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფის წევრები ისე შევიდნენ, პოლიციის თანამშრომლებისთვის არც სამსახურებრივი მოწმობები უჩვენებიათ და არც სიტყვიერად განუმარტავთ თავიანთი ვინაობა.

ნინო გიორგობიანის თქმით, აღნიშნული ჯგუფის წევრებმა საბუთები მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა მოთხოვნის შემდეგ წარადგინეს, რაც ნათლად ჩანს მათ მიერ გავრცელებულ კადრებში. მისივე თქმით, საბუთების წარდგენის შემდეგ მონიტორინგის ჯგუფის წევრებს არანაირი დაბრკოლება არ შექმნიათ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას. მათ მოინახულეს დროებითი მოთავსების იზოლატორი და დატოვეს სამმართველოს შენობა. გიორგობიანის განმარტებით, მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა შეფერხების გარეშე მოინახულეს კახეთის რაიონული სამმართველოები.

„აქვე აღვნიშნავ, რომ მონიტორინგის ჯგუფის წევრები საგარეჯოს რაიონულ სამმართველოში პროვოკაციულად და უპასუხისმგებლოდ იქცეოდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო აღნიშნული ინციდენტის მოკვევა, თუმცა ურიგო არ იქნება, სახალხო დამცველმაც შეისწავლოს ამ ჯგუფის წევრთა ქმედებები, ვინაიდან მსგავსი შემთხვევები ჩრდილს აყენებს ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციის არსებობას, როგორიცაა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფი.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები მონიტორინგს ატარებენ პოლიციის განყოფილებებში და ამგვარი სახის პრობლემები მათ არასოდეს შექმნიათ. პოლიციის თანამშრომლები, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სრულად თანამშრომლობენ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან და ხელს უწყობენ მათ მონიტორინგის სრულყოფილ განხორციელებაში,“ - აღნიშნავს შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

გიორგობიანის განცხადებით, უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებმა უკვე 92-ჯერ დაუბრკოლებლად განახორციელეს შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგი და ადამიანის უფლებების დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

„აღნიშნული მონიტორინგის გარდა, დროებითი მოთავსების იზოლატორში გამჭვირვალობისა და ღიაობის სტანდარტის აწევის მიზნით, კანონით დადგენილ ფარგლებში განხორციელდა უცხოელ უფლებადამცველთა და ექსპერტთა მონიტორინგი. ევროსაბჭოს ექსპერტ ჯიმ მერდოკის შეფასებით, მნიშვნელოვანი ზომები გატარდა მონიტორინგის მექანიზმის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, ყველა იზოლატორში დამონტაჟდა ვიდეოკამერები (რომლის მონიტორინგი შსს-ს ცენტრალური აპარატიდან ხორციელდება), შსს-ს გენერალური ინსპექცია გაძლიერდა, ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ინსპექციის ერთიანი წესები და დაკავებული პირებისთვის საჩივრების შეტანის მექანიზმი (მათ შორის, ვებ-გვერდის მისამართის გამოქვეყნება). ექსპერტის შეფასებით, ამჟამად უკეთესი კოორდინაცია არსებობს შიდა ინსპექციის სამსახურებსა და პროკურატურას შორის,“ - განაცხადა გიორგობიანმა.

სახალხო დამცველმა გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მიმართა, 17 ოქტომბერს საგარეჯოს პოლიციის სამმართველოში მომხდარი ინციდენტის მოკვლევა პირად კონტროლზე აიყვანოს და შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს.

საგარეჯოს პოლიციის სამმართველოში მომხდარი ინციდენტის შესახებ სახალხო დამცველმა სპეციალური განცხადება გაავრცელა. უჩა ნანუაშვილი საგარეჯოს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან კანონის უხეშ დარღვევაზე, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სამმართველოს მიერ „არაკვალიფიციური და უპასუხისმგებლო“ განცხადებების გაკეთებაზე საუბრობს.

კაიროს ეკლესისათან კოპტების საქორწინო ცერემონია დაცხრილეს

კაიროში, კოპტურ ეკლესიაში ნიღბიანმა პირებმა საქორწინო ცერემონიის მონაწილეებს გაუხსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაიღუპა. თვითმხილველების თქმით, შეიარაღებული პირები ეკლესიასთან მოტოციკლეტით მივიდნენ. პოლიციის ინფორმაციით, დაჭრილია, სულ მცირე, 9 ადამიანი. «ბი-ბი-სი"-ს ცნობით, დაღუპულებს შორის რვა წლის გოგონაც არის. აქამდე მომხდარზე პასუხისმგებლობა არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. ინციდენტი გიზაში მოხდა, სადაც არაერთი ქვეყნის საელჩო მდებრეობს. როგორც კოპტი მღვდელი ბეშაია ლოფტი ამბობს, ივნისის შემდეგ ეკლესიას პოლიცია აღარ იცავს.

ამერიკა პაკისტანს უსაფრთხოების სფეროში კვლავ დაეხმარება

კვირას ამერიკელმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ ამერიკა აღუდგენს პაკისტანს დახმარებას უსაფრთხოების სფეროში. ეს დახმარება 2011 წელს შეჩერდა, მას შემდეგ, რაც ამერიკის სპეცრაზმმა აბოტაბადში ნომერი პირველი ტერორისტი უსამა ბინ ლადენი მოკლა და ქვეყნებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ოთხშაბათს ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა თეთრ სახლში პაკისტანის პრემიერ-მინისტრ ნავაზ შარიფს მიიღებს. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუარესება ამერიკის მიერ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე უპილოტო საფრენი აპარატებიდან განხორციელებულმა თავდასხმებმაც გამოიწვია, რასაც პაკისტანი ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნევს. შარიფი ამ კვირაში, პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრის გარდა, ამერიკის კონგრესშიც გამართავს შეხვედრებს.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ მარი ჰარფის განცხადებით, 2014 წლისთვის ობამამ პაკისტანისთვის 1,62 მილიარდი დოლარის დახმარების გამოყოფა მოითხოვა, აქედან 857 მილიონი დოლარი სამოქალაქო დახმარებას გულისხმობს, 305 მილიონი დოლარი კი პაკისტანის უსაფრთხოებისთვის დაიხარჯება. ამერიკის მიერ პაკისტანისთვის უსაფრთხოების კუთხით გამოყოფილი დახმარების დიდი ნაწილი ქვეყანაში მყოფი შეირაღებული მებრძოლების წინააღმდეგ ბრძოლას მოხმარდება.

ბაღდადის კაფესთან აფეთქებას 38 ადამიანი შეეწირა

კვირას ბაღდადის შიიტურ უბანში ერთ-ერთ კაფესთან დანაღმული მანქანა აფეთქდა, რასაც, სულ მცირე, 38 ადამიანი ემსხვერპლა. ერთი დღით ადრე კი, პოლიციის ცნობით, სამთავრობო შენობებთან მომხდარი თავდასხმისას 12 ადამიანი დაიღუპა. ამ დრმდე თავდასხმებზე პასუხისმგებლობა არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. მხოლოდ წელს ქვეყანაში თავდასხმებს 7000 სამოქალაქო პირი ემსხვერპლა.

„რუსეთში ინტერნეტმომხმარებლების უფლებები დაირღვევა"

წლის ბოლომდე რუსეთში კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების სამინისტროს ბრძანება ამოქმედდება, რომლის მიხედვითაც, სპეცსამსახურებს ინტერნეტმომხმარებლის მონაცემებზე სრული ხელმისაწვდომობა ექნებათ, მათ შორის ტელეფონის ნომრებზე, IP მისამართებზე, ელექტრონული ფოსტის მისამართებზე. ამ ბრძანების პროექტი, რომელიც ჯერ კიდევ გაზაფხულზე შეადგინეს, „ეფ-ეს-ბე"-მ უკვე მოიწონა და ახლა ქვეყნის იუსტიციის სამინისტროში უნდა გაიაროს რეგისტრაცია. ინტერნეტპროვაიდერები იძულებულები იქნებიან, საკუთარ ქსელებში სპეციალური მოწყობილობები დაამონტაჟონ, მონაცემები შეინახონ. ეს ყველაფერი კი 2014 წლის 1 ივლისისთვის უნდა დასრულდეს. იურისტები და ექსპერტები მიუთითებენ, რომ ეს ბრძანება მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებას არღვევს. მაგალითად, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების სამინისტროს „ვიმპელკომმა" წერილი მისწერა, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ ბრძანებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ირღვევა. კანონპროექტის შემქმნელები კი მისი შექმნის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ეროვნული ინტერესების დაცვას ასახელებენ. კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების სამინისტრომ კი მომხმარებლები «დაამშვიდა», რომ სპეცსამსახურებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სისტემის ფარგლებში უკვე ხუთი წელია, ყველა ამ მონაცემზე ხელმსაწვდომობა აქვთ და სამინისტროს ახალი ბრძანება, რომლის შეთანხმება და მომზადებაც ხდება, ოპერატორების ვალდებულებებში «პრინციპულად ახალს» არაფერს ითვალისწინებს.

გერმანია ევროკავშირი-თურქეთის მოლაპარაკებებს მხარს დაუჭერს

გერმანია ევროკავშირის წევრობის კანდიდატ თურქეთთან მოლაპარაკებების გაგრძელებას აღარ შეეწინააღმდეგება. ამაზე ევროკავშირის წევრები სამშაბათს აპირებენ მსჯელობას. თურქეთთან მოლაპარაკებები კი, სავარაუდოდ, ნოემბერში განახლდება. ცნობისათვის - ამ ზაფხულს გერმანია და ორგანიზაციის სხვა წევრები შეშფოთებულები იყვნენ თურქეთის პოლიციის ქმედებით, რომელმაც დემონსტრანტების მიმართ ძალა გადამეტებით გამოიყენა. ზაფხულში პრემიერ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის გადადგომის მოთხოვნით გამართული დემონსტრაციების დროს პოლიციამ მონაწილეების მისამართით ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები რამდენჯერმე გამოიყენა.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებები 2005 წელს დაიწყო. ამ საკითხში პროგრესს უმთავრესად კვიპროსის საკითხი და გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობა უშლიდა ხელს. თურქეთის მინისტრმა ევროკავშირის საკითხებში ეგემენ ბაგისმა განაცხადა: „უდავოა, რომ ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კუთხით თურქეთი ევროკავშირის სტანდარტებთან როგორც არასდროს ისე ახლოს დგას."

მოამზადა თამთა კახაძემ

გერმანიაში ფართო კოალიციის შექმნას შეეცდებიან

ივა შილაკაძე

გერმანიაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი თვე გავიდა, თუმცა მომავალი სამთავრობო კოალიციის კონტურები ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, რომ არჩევნები დიდი უპირატესობით მოიგო მერკელის ბლოკმა - «ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა» და ბაიერნში მათი რეგიონული პარტნიორების «ქრისტიანულ-სოციალური პარტიის» ალიანსმა. მათ აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებამდე სულ ცოტა დააკლდათ - დაახლოებით, ერთი პროცენტი. თუმცა პარლამენტში ვერ მოხვდნენ მათი ტრადიციული მოკავშირე ლიბერალები სამთავრობო კოალიციების შექმნისას - «თავისუფალი დემოკრატები». ამის გამო მერკელის პარტიას კოალიციური პარტნიორის ძებნა მემარცხენე ბანაკში უწევს. გამარჯვებული პოლიტიკური ძალის გარდა, ბუნდესტაგში მოხვედრილი სამივე პარტია მემარცხენე ფლანგს განეკუთვნება.

«ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა» და «ქრისტიანულ-სოციალური პარტიის» ალიანსმა ხმათა 41,5 პროცენტი მიიღო; მათმა ძირითადმა მოწინააღმდეგეებმა - მემარცხენე-ცენტრისტულმა «სოციალურ-დემოკრატიულმა პარტიამ» - 26 პროცენტი; «მემარცხენეებმა" (ყოფილმა კომუნისტებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან) - 8,6 პროცენტი და მწვანეთა პარტიამ - 8,4 პროცენტი. წინა კვირაში წარუმატებლად დამთავრდა «ქრისტიან-დემოკრატების» მოლაპარაკებები «მწვანეებთან", ამის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა გარემოს დამცველთა პარტიამ.

დიდი კოალიციის შექმნისგან თავიდან ორივე წამყვანი პარტია იკავებდა თავს, რაც ბუნებრივია. მერკელის პარტიას ცოტა ხმები დააკლდა. შედარებით მომცრო პარტიებთან კოალიციის შეკვრისას მათ შესაბამისად ნაკლები მოთხოვნების გათვალისწინება მოუწევთ - როგორც პროგრამული კუთხით, ასევე კაბინეტში პორტფელების განაწილებისას. მთავარ ოპონენტებთან გაერთიანებისას კი პოზიციების შეჯერება უფრო რთულია. 26 პროცენტის მქონე პარტიას მადაც მეტი აქვს.

ქრისტიან-დემოკრატებს და სოციალ-დემოკრატებს უკვე ჰქონდათ დიდი კოალიცია და ერთად მართავდნენ ქვეყანას 2005-2009 წლებში, თუმცა ამ თანამშრომლობამ დიდი ხნით გაუქრო სოციალ-დემოკრატებს ფართო კოალიციაში მერკელის პარტიასთან ყოფნის სურვილი. წინასაარჩევნო დებატებისას ერთმანეთთან თანამშრომლობის სურვილს არც ერთი მხარე არ გამოთქვამდა, განსაკუთრებით რადიკალურები კი მემარცხენე-ცენტრისტები იყვნენ. ბედის ირონიით, სექტემბრის არჩევნებშიც შეიქმნა იმის მსგავსი «გამოუვალი" მდგომარეობა, როგორც 8 წლის წინათ.

კვირას გაიმართა «სოციალურ-დემოკრატიული პარტიის» კრება, რომელშიც, პარტიის ხელმძღვანელობის გარდა, საშუალო რგოლის, დაახლოებით, 200 აქტივისტი მონაწილეობდა. მათ ხმის უმრავლესობით გადაწყვიტეს, მაინც დაიწყონ მოლაპარაკებები ქრისტიან-დეოკრატებთან კოალიციის შესაქმნელად.

მოსალოდნელია, რომ სოციალ-დემოკრატების მემარცხენე-ცენტრისტული პარტია რამდენიმე მოთხოვნას დააყენებს. პირველ რიგში, ეს არის მინიმალური ხელფასის ოდენობა. ამას გარდა, სოციალ-დემოკრატები მკაცრი ეკონომიის პოლიტიკაზე უარის თქმის, ეკონომიკის წინსვლასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე აქცენტის გაკეთების მომხრეებად გამოდიან. მედიას ხელში ჩაუვარდა სოციალ-დემოკრატების შიდა სარგებლობის დოკუმენტი, რომელშიც წერია, რომ პარტია განხილვის გარეშე მოითხოვს მემარჯვენე ცენტრისტების მიერ 10 პუნქტის გათვალისწინებას. ამ მოთხოვნებს შორის არის სწორედ ზემოხსენებული მინიმალური ხელფასის დაწესება - 8,5 ევროს ოდენობით ერთი საათის მუშაობისთვის; მამაკაცებისა და ქალების შრომის თანაბარი ანაზღაურება; უფრო მსხვილი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და განათლებაში; ასევე ევროზონის განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების ზოგადი სტრატეგია. სოციალ-დემოკრატები ასევე მოითხოვენ პენსიების ოდენობის გათანაბრებას დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის მცხოვრებთათვის, ასევე უკეთესი პრობების შექმნას მუშაობისა და ოჯახურ ცხოვრებას შორის ბალანსის შესაქმნელად. ამ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი «სოციალ-დემოკრატიული პარტიის» ერთ-ერთ მთავარ წინასაარჩევნო დაპირებაზე, რომელიც მოსახლეობის ყველაზე მდიდარი ნაწილისთვის გადასახადების გაზრდას ითვალისწინებდა.

ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი შეიძლება, მინიმალური ხელფასის დაწესებას შეურიგდნენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ წავლენ უფრო მაღალი გადასახადების შემოღებაზე. მიმომხილველების აზრით, დიდ ინტერესს იწვევს, მოითხოვენ თუ არა სოციალ-დემოკრატები ფინანსთა მინისტრის პორტფელს. ამჟამად ეს თანამდებობა ქრისტიანულ-დემოკრტიული კაშირის წარმომადგენელ ვოლფგანგ შოიბლეს უკავია, რომელიც მკაცრი ეკონომიის პოლიტიკის აქტიური მომხრეა. ევროზონის კრიზისის გამო შოიბლეს პიროვნებას და მის მიდგომას მთელი ევროპაც და მსოფლიოც კარგად იცნობს. ბოლო წლებში მას ევროკავშირის მასშტაბით ბევრ ფორუმსა და მოლაპარაკებაში მოუწია ევროპის უდიდესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს პოზიციების გატარება.

ახლა შეიძლება, გამარჯვებულ პარტიებს დიდი არჩევანი არც დარჩათ, თუმცა ფართო კოალიციას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები აქვს ქვეყნისთვის. ასეთ შემთხვევებში საკმარისია, პარტიების ხელმძღვანელობას შორის მოხდეს შეთანხმება და მთავრობის პოზიცია პარლამენტში არავითარ წინააღმდეგობას აღარ აწყდება. მეორე მხრივ, მმართველ კოალიციას აღარ ჰყავს რეალური ოპოზიცია, რომელსაც ამომრჩეველთა თვალში, საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებლობას გაუნაწილებდა.

მექსიკა და საფრანგეთი აშშ-ს შპიონაჟს აპროტესტებენ

პირველი გვერდიდან

ამჯერად გერმანულ „შპიგელსა" და ფრანგულ „მონდში" დაბეჭდილ მონაცემებს მოჰყვა შესაბამისად მექსიკისა და საფრანგეთის ოფიციალურ პირთა რეაქცია, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე ამ ქვეყნების მოქალაქეთა ტელეფონების მასობრივი მოსმენების გამო.

გერმანული „შპიგელი" სნოუდენზე დაყრდნობით წერს, რომ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ფელიპე კალდერონს «უსმენდა», როდესაც ის ჯერ კიდევ მექსიკის პრეზიდენტი იყო. კერძოდ, მისი ელექტროფოსტა ჯერ კიდევ 2010 წელს „გატეხეს". როგორც ირკვევა, ამერიკელები თვალყურს ადევნებდნენ ბრაზილიის პრეზიდენტ დილმა რუსეფისა და მექსიკის ამჟამინდელ პრეზიდენტ ენრიკე პენია ნიეტოს მიმოწერასაც ჯერ კიდევ იმ პერიოდში, სანამ ნიეტო ქვეყნის მეთაურის თანამდებობას დაიკავებდა.

ამის გამო მექსიკამ ამერიკის შეერთებულ შტატებს პროტესტი გამოუცხადა. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ასეთი პრაქტიკა მიუღებელია, უკანონოა და ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს ეწინააღმდეგება. მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოუწოდებს, ამ ინფორმაციის გარშემო გამოძიება ჩაატაროს. ამ თემაზე ობამამ და ნიეტომ სანკტ-პეტერბურგში დიდი ოცეულის სამიტზეც ისაუბრეს. ნიეტოს სიტყვებით, ობამა მას შეჰპირდა, რომ სერიოზული გამოძიება ჩატარდება და ფაქტების დადასტურებას სათანადო სანქციებიც მოჰყვება.

მანამდე გავრცელდა ინფორმაცია აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ბრაზილიის პრეზიდენტ დილმა რუსეფის მიმოწერაზე თვალყურის დევნების, ასევე ბრაზილიის კერძო კონმპანიებისა და სახელმწიფო მოხელეების მიმოწერის „გატეხვის" ანუ სამრეწველო შპიონაჟის შესახებ. ამას ბრაზილიაში სერიოზული სკანდალი მოჰყვა და ამის გამო დილმა რუსეფმა აშშ-ში სახელმწიფო ვიზიტიც გადადო, რაზეც უკვე წერდა „24 საათი".

„მონდში" დაბეჭდილი სტატიის გამო გუშინვე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა ამერიკის ელჩი დაიბარა და შესაბამისი ახსნა-განმარტება მოსთხოვა. მონდის სტატიის თანახმად, აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო საფრანგეთის მილიონობით მოქალაქის მონაცემებს მოიპოვებდა. კერძოდ, თვალყურს ადევნებდა კერძო კომპანიების, სახელმწიფო მოხელეების, აგრეთვე ტერორიზმში ეჭვმიტანილების სატელეფონო კონტაქტებს და ელექტრონულ მიმოწერას. „მონდის" თანახმად, სატელეფონო საუბრების „დაჭერა" საკვანძო სიტყვების საშუალებით ხდებოდა. ლაპარაკია 70 მილიონ ზარზე ერთ თვეში. უცნობია, არქივში საუბრის შინაარსიც ხვდებოდა თუ მხოლოდ ე.წ. „მეტამონაცემები" ანუ ვინ ვის ელაპარაკებოდა. (აშშ-ს სპეცსამსახურები უკვე რამდენიმე თვეა, ამტკიცებენ, რომ ისინი მხოლოდ ამ მონაცემებს აკონტროლებენ საკუთარ ქვეყანაშიც და უცხოეთშიც და არა შინაარსს, რაც სანქციის გარეშე აკრძალულია).

ლორან ფაბიუსმა მედიას თვითონ განუცხადა, რომ აშშ-ს ელჩი დაიბარა და მას „დაუყოვნებლივი განმარტება" მოსთხოვა. მანამდე საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მანუელ ვალსმა განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია „შოკისმომგვრელია". „თუ მოკავშირე სახელმწიფო საფრანგეთის წინააღმდეგ შპიონაჟით არის დაკავებული, ეს აბსოლუტურად მიუღებელია".

სნოუდენის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებულ ინფორმაციებში თვით სახელმწიფოთა მეთაურებისა და სპეცსამსახურებისთვის ახალი, სავარაუდოდ, არაფერია. ყველამ იცის, რომ ეს შესაბამისი უწყებების ჩვეულებრივი საქმიანობაა. უბრალოდ, როდესაც ასეთი ფაქტები საზოგადოებისთვის ცნობილი ხდება, სათანადო რეაგირება აუცილებელია. ისე, პრეზიდენტების მიმოწერის გატეხვა ალბათ მართლაც „მეტისმეტია", თუმცა საკუთარი სახელმწიფოს მეთაურების კონტაქტების დაცვაზე უპირველესად თვით ამ სახელმწიფოთა შესაბამისმა სტრუქტიურებმა უნდა იზრუნონ და არ იყვნენ სხვათა „კეთილ ნებაზე" დამოკიდებულნი. ისე, აშშ-ს სპეცსამსხურები, სავარაუდოდ, საფრანგეთის და სხვა ევროპელი მოკავშირეების პირველ პირებსაც სიამოვნებით „მოუსმენდნენ", მაგრამ ეს ალბათ არც ისე ადვილია.

საზარელი ტერაქტი ვოლგოგრადში

პირველი გვერდიდან

ავტობუსი მოძრაობდა მარშრუტით „სახელმწიფო უნივერსიტეტი-კინოთეატრი „იუბილეინი". ამ მარშრუტით, ძირითადად, ახალგაზრდები სარგებლობენ. დაღუპულებსა და დაჭრილებს შორისაც ყველა 30 წელზე ნაკლები ასაკისაა. ავტობუსი გაჩერება „ლესობაზასთან» აფეთქდა. დაჭრილებს ნეიროქირურგიის, ტრავმატოლოგიისა და ბავშვთა ქირურგიის განყოფილებებში მკურნალობენ. ვოლგოგრადში საგანგებო სიტუაციების თვითმფრინავი ჩაფრინდა 5 სამედიცინო მოდული-რეანიმობილით, რათა მძიმე მდგომარეობაში მყოფები მოსკოვში გადაიყვანონ. ვოლგოგრადის ოლქში 22 ოქტომბრიდან სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული.

დაჭრილებს და დაღუპულებს ნაღმის აფეთქებით, ასევე დალეწილი შუშებით და ავტობუსის სხვა ფრაგმენტებით აქვთ ტრავმები მიღებული. ასაფეთქებელ მოწყობილობაში იყო ტროტილი, ორი ხელყუმბარა და დამაზიანებელი ელემენტები - შურუპები და ლითონის სხვა წვრილი ნაწილაკები. აფეთქება მოხდა მაშინვე, როგორც კი ავტობუში უკანა კარიდან თვითმკვლელი ტერორისტი ქალი ავიდა.

მისი ვინაობა რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა უკვე დაასახელა, მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტის სხეული ძალიან დაფლეთილია. ეს არის დაღესტნის მკვიდრი, ვინმე ნაიდა ახიიალოვა (სხვა ვერსიით ასიიალოვა), რომელიც გამოცდილ გადამბირებლად მიიჩნეოდა და რომელსაც ეძებდნენ. მან ისლამი თვითონაც რამდენიმე წლის წინათ მიიღო, თუმცა შემდეგ კავკასიელი ისლამისტი ბოევიკების მხარეზე გადაიბირა თავისი რუსი მეუღლე დიმიტრი სოკოლოვიც, რომელსაც უკვე აქვს მუსლიმური სახელიც აბდულ ჯაბარი. 22 წლის მოსკოველი დიმიტრი სოკოლოვის სინდისზე უკვე არის 29 დაჭრილი ორი ტერაქტისას. მას თითქმის წელიწადნახევარია, ეძებენ - 2012 წლის ზაფხულში მოსკოვიდან გაქრა და მშობლებს ბოლოს შარშან ივლისში დაურეკა. დაუზუსტებელი ინფორმაცით, ტერორისტი ქალი ნაიდა ახიიალოვა ავად იყო ძვლების მძიმე დაავადებით, რომლის დროსაც ადამიანი ლამის ცოცხალი ლპება. ორი წლის წინ ინტერნეტით მისთვის დახმარებას მუსლიმანებისგან ითხოვდნენ. ის ბავშვთა სახლშია გაზრდილი, მშობლებმა იგი პატარა ასაკშივე მიატოვეს.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კონკურსში მონაწილეობის ნებისმიერმა მსურველმა ჯერ ელექტრონული წიგნის მაღაზია lit.ge-ს საიტზე უნდა გაიაროს რეგისტრაცია, შემდეგ კი აქ განსათავსებელი საკონკურსო მოთხრობის წერა დაიწყოს. თავისთავად ცხადია, რომ მოთხრობა მკითხველისთვის ახალი უნდა იყოს ანუ მანამდე ნებისმიერი სახით (ლიტერატურული გამოცემა, კრებული, ინტერნეტი) გამოცემული მოთხრობა და მისი ავტორი ამ წესის დარღვევისთვის დაიბლოკება.

5-10 გვერდიანი საკონკურსო მოთხრობების მიღება 12 ნოემბრამდე გაგრძელდება. მათ საიტზე ანონიმურად, ავტორის მითითების გარეშე განათავსებენ, რათა ჟიურიმ ობიექტურად შეძლოს ვერდიქტის გამოტანა. ამავეს გაკეთების საშუალება 14-დან 26 ნოემბრის ჩათვლით მკითხველსაც ექნება. რომელიც ასევე უნდა დარეგისტრირდეს, შემდეგ კი 5 ქულიანი სისტემით შეაფასოს. თუმცა ეს კონკურსის მხოლოდ მერე ნაწილია, რადგან მკითხველს მხოლოდ ჟიურის მიერ გადარჩეული საუკეთესო 15 მოთხრობის შეფასება შეეძლება. აქვე შესაძლებელი იქნება ფორუმზე შესვლა და ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ აზრის დაფიქსირება. ყველაზე აქტიური 10 მკითხველისთვის lit.ge-ს მიერ 100 ლარიანი ვაუჩერია დაწესებული.

მოკლედ, პრაქტიკულად ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ადრე - საპრიზო ფონდის გარდა, რომელიც წელს შედარებით მდიდარია. მესამე ადგილზე გასულს 1000 ლარს გადასცემენ, მეორე ადგილოსნისთვის კონვერტში 2000 ლარს ჩადებენ, ხოლო კონკურსის საუკეთესო ავტორს წეროს ვერცხლის ქანდაკებასთან ერთად 3000 ლარი ერგება. დაჯილდოების ცერემონიალზე ასევე გადასცემენ მკითხველისა და სხვა პრიზებსაც.

„წერო“ ელექტრონული წიგნის მაღაზია lit.ge-სა და ფარმაცევტული GPC-ის ლიტერატურული პროდუქტია. კონკურსი შორეულ 2006 წელს დააარსეს. მას შემდეგ წეროს ქანდაკებას ექვსი ავტორი დაეუფლა. პირველი იყო ვანო ჩხიკვაძე, მომდევნო წელს კი ორი „წერო“ „დაბინავდა“, რადგან 2007-ში კონკურსი პროზის გარდა, პოეზიაშიც ჩატარდა. ამ წელს ბაჩო კვირტიამ (მოთხრობა „მე ბიძინა ვარ“) და ნათია ნაცვლიშვილმა (ლექსი „ცოლების საკითხავი“) გაიმარჯვეს, მომდევნო წელს კი „წეროს“ გამარჯვებულებად დაასახელეს დიანა ანფიმიადი ლექსისთვის „გრამატიკის გაკვეთილები“ და მოთხრობა „დროთა შეთანხმების წესის“ ავტორი ირმა ტაველიძე. ჯერ-ჯერობით „წეროს“ უკანასკნელ გამარჯვებულად მარი ბექაური მიიჩნევა, რომლის მოთხრობაც იმავე წლის კრებულ „15 საუკეთესო ქართულ მოთხრობაშიც“ მოხვდა. აქვე დავამატებთ, რომ „წეროს“ შემდეგ ბექაურის შემოქმედებაში ბევრი სიახლე მოხდა - ავტორმა სადებიუტო კრებული „ელექტროთაობა“ გამოსცა, რომლითაც წლევანდელ „საბაზე“ შეასაბამის ნომინაციაშიც იყო წარდგენილი.

ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲛᲘᲢᲖᲔ

დღეს და ხვალ, 22-23 ოქტომბერს, პოლონეთში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატების მსოფლიო სამიტს ეწვევა.

23 ოქტომბერს, ვარშავის ოპერის ეროვნულ თეატრში, 15:30სთ-ზე, თემით კულტურისა და განათლების სფეროების შეფასება საქართველოს მაგალითზე“, კულტურის მინისტრი მოხსენებით გამოვა მსოფლიო სამიტის ფარგლებში ვარშავაში დაგეგმილ ვორკშოფზე მშვიდობის ხმა“, რომელიც მშვიდობის მშენებლობის პროცესში მუსიკისა და განათლების როლს ეხება.

გურამ ოდიშარია განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით დაესწრება მშვიდობის კონცერტს“. მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტის ელისო ბოლქვაძისა და ახალგაზრდა ლიტველი ნიჭიერი შემსრულებლების სოლო საფორტეპიანო კონცერტს PIANO FOR PEACE“ კულტურის მინისტრი მისასალმებელი სიტყვით გახსნის. მშვიდობის კონცერტს EMMA და შოპენის სახელობის ინსტიტუტი წარმოადგენს, რომელიც 22 ოქტომბერს, 17: 00 სთ-ზე გალერეაში PORCZYNSKICH“ გაიმართება. საქართველოს დელეგაციასთან ერთად სამიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი და მრჩეველი ლალი ლომსაძე დაესწრებიან.

ვარშავის სამიტის მონაწილეთა შორის არიან: ფრედერიკ ვილიემ დე კლერკი, მიხაილ სერგეევიჩ გორბაჩოვი, ჰენრი კისინჯერი, დალაი ლამა XIV, მეირიდ კორიგან-მაგუაიერი, ლეჰ ვალესა, მუჰამედ იუნუსი და სხვ.

EMMA ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატების ვარშავის მსოფლიო სამიტზე მიწვეულ იქნა მთავარ პარტნიორად მუსიკის დარგში. EMMA - ევროპულ-ხმელთაშუაზღვისპირეთის მშვიდობის სამუსიკო აკადემია (Euro Mediterranean Music Academy for Peace) წარმოადგენს მსოფლიო სამუსიკო განათლების ერთ-ერთ უმთავრეს ინსტიტუტს და კულტურის გზით ემსახურება მსოფლიო მშვიდობას.

ნობელის მშვიდობის ლაურეატების მსოფლიო სამიტი საერთაშორისო დონეზე აღიარებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უდიდესი ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება და მშვიდობისმყოფელ სფეროს ემსახურება. სამიტს ესწრებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატები, მაღალი რანგის ოფიციალური პირები და ორგანიზაციები.

ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატების მე - 13 მსოფლიო სამიტი აღსანიშნავია იმით, რომ იგი პირველად ტარდება აღმოსავლეთ ევროპაში.

ვარშავის სამიტი შეეხება მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ საკითხებს, როგორიცაა მმართველობა, კონფლიქტები, სოლიდარობა და სხვა. **24 საათი**

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲢᲐᲝ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲨᲘ

22-24 ოქტომბერს ტაო-კლარჯეთში ქართველ და თურქ სპეციალისტთა რიგით მეხუთე სამუშაო შეხვედრა გაიმართება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე არქიტექტორ-რესტავრატორებთან ერთად, ადგილზე მოინახულებს იშხნის სარეაბილიტაციო სამუშაობის მიმდინარეობას, შეაფასებს ძეგლზე ფიზიკური სამუშაობის წარმოების ხარისხს და ქართული მხარის მიერ დღემდე გაცემული რეკომენდაციების შედეგს.

მერაბ ბოჭოიძე ადგილზე შეხვდება ერზურუმის ვილაიეთისხელმძღვანელებს და იშხნის მთავარ ტაძარზე ფიზიკური სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგნლებს.

ქართველი სპეციალისტები თურქ კოლეგებთან ერთად დაგეგმავენ სარეაბილიტაციო სამუშაოების მომდევნო ეტაპებს.

სამუშაო ვიზიტის ანგარიში წარმოდგენილი იქნება თურქეთში ქართველ სპეცილისტთა ვიზიტის დასრულების შემდეგ.**24 საათი**

გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი კადრებს ითხოვს

ქუთაისის ციხეში გარდაცვლილი 16 წლის გოგა ძველაიას მამა საპყრობილეში გადაღებული კადრების გადაცემის გაჭიანურების მცდელობაზე საუბრობს და შიმშილობის დაწყებას აპირებს.

თენგიზ ძველაიას განცხადებით, სასჯელაღსრულების სამინისტრო კადრების ნახვას სთავაზობს, თუმცა გარდაცვლილის მამა მოითხოვს, რომ კადრები გადასცენ, რათა დამოუკიდებელ ექსპერტს შეამოწმებინოს.

„ამბობენ, მობრძანდი და ვუყუროთო. რას უნდა ვუყურო, დამონტაჟებულ კადრს?! მე ვითხოვ, რომ გადმომცენ კადრი, ექსპერტმა შეამოწმოს და მერე ვუყურებ ვიდეომასალას. ამის მერე არავითარი პრეტენზია არ მექნება, რომ ჩემმა შვილმა თავი თვითონ ჩამოიხრჩო... მეუბნებიან, კადრები დღეს გადმოგეცემა, ხვალ გადმოგეცემა - ეს ყველაფერი არჩევნების პერიოდს უკავშირდება. ცდილობენ, დრო გაწელონ. მე მაფინანსებს პრეზიდენტი და მან დაავალა გუბერნატორს, თენგიზ გუნავას, რომ რაც კი დამჭირდება ექსპერტიზაზე ან იურიდიულად, ყველაფერში ხელი შემიწყოს და დამეხმაროს. ბატონმა თენგიზმა მითხრა, რომ თუ საჭირო იქნება, ექსპერტიზისთვის უცხოელებსაც ჩამოიყვანს,“ - აღნიშნა თენგიზ ძველაიამ.

მისივე თქმით, თუკი კადრებს დღეს არ მიიღებს, ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან, ავტომობილში ჩაიკეტება და შიმშილობას დაიწყებს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავჯდომარე კახა კოჟორაძის ინფორმაციით, არსებობს გამოკითხვის ოქმი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ პირველი პატიმრობისას გოგა ძველაიას თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება ჰქონდა.

„გვაქვს ინფორმაცია, რომ როდესაც გოგი ძველაია პირველად იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სოციალურმა მუშაკმა მასთან გამოკითხვა აწარმოა და ამ გამოკითხვაში - აქვს თუ არა მიდრეკილება თვითმკვლელობისკენ? - პასუხი იყო გაცემული, რომ კი, აქვს,“ - განაცხადა კოჟორიძემ.

მისი თქმით, თუკი სასჯელაღსრულების სამინისტროს ეს ინფორმაცია ჰქონდა, უფრო წინდახედულად უნდა ემოქმედა.

„დავუშვათ, სამინისტროს ეს ინფორმაცია ჰქონდა, მას სხვადასხვა ზომები უნდა მიეღო - საკანი აღეჭურვა შესაბამისი ვიდეოგადამღებით, რომ თუ არასრულწლოვანი რაიმე საეჭვო მოქმედების განხორციელებას დაიწყებდა, მისი აღკვეთა დაუყოვნებლივ მომხდარიყო,“ - განაცხადა კოჟორიძემ.

მისივე თქმით, სოციალური მუშაკის მიერ ჩატარებული გამოკითხვის დოკუმენტი სასჯელაღსრულების სამინისტროში უნდა ინახებოდეს.

სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე მიხეილ დევდარიანის განცხადებით, სასჯელაღსრულების სამინისტროს არ გააჩნია დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ გოგა ძველაიას თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება ჰქონდა.

დევდარიანის თქმით, ძველაია ერთი დღის შეყვანილი იყო დაწესებულებაში და სწორედ ერთი დღის განმავლობაში იგი დაწესებულების სოციალურმა მუშაკმა და დირექტორმა რვაჯერ მოინახულეს. ბოლო მონახულებიდან ნახევარი საათის შემდეგ კი, როდესაც სოციალური მუშაკი მეცხრედ შევიდა, პატიმარი უკვე გარდაცვლილი იყო.

მინისტრის მოადგილის თქმით, მთელი დღის განმავლობაში პატიმარს არაფერი ეტყობოდა, რომ დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ან სუიციდისკენ იყო მიდრეკილი. დევდარიანის თქმით, ძველაიამ განმარტოებით საკანი მოითხოვა და ბავშვი უყურადღებოდ რომ არ ყოფილიყო, მასთან ასე ხშირად ამიტომ შედიოდნენ. დევდარიანის განცხადებით, გამოძიება მიმდინარეობს, რომელიც ყველა კითხვას გასცემს პასუხს.

ცნობისათვის - 16 წლის გოგა ძველაია ქუთაისის N2 დაწესებულებაში ერთი დღის გადაყვანილი იყო, როდესაც საკანში გარდაცვლილი იპოვეს. გამოძიება თვითმკვლელობის ვერსიაზე საუბრობს.

გარდაცვლილი პატიმრის მამა კი თავიდანვე მიიჩნევდა, რომ მის შვილს თავი არ მოუკლავს, იგი ჯერ შემოაკვდათ და შემდეგ „ჩამოკიდეს“.

თენგიზ ძველაიას თქმით, ქუთაისის ციხეში გადაყვანისას შვილმა უამბო, რომ ერთ-ერთ პატიმართან, რომელიც ციხის „მაყურებელი“ იყო, უთანხმოება ჰქონდა.

„ეს პატიმრები ხომ ციხის ხელმძღვანელობას აბარია, განა მათ არ უნდა აგონ პასუხი? თუ ციხის უფროსს მხოლოდ ხელფასის აღება ევალება? გოგა ჯერ მოკლეს და შემდეგ ჩამოკიდეს... არ ვიცი, პატიმრებს შემოაკვდათ თუ ვის, მაგრამ ჩემი შვილი თავს არ მოიკლავდა,“ - ამბობს თენგიზ ძველაია.

გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრები სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის სენაკში ჩასვლას ითხოვდნენ. თუმცა სუბარი ოჯახის წევრებს არ შეხვედრია. მინისტრმა განაცხადა, რომ იმ კითხვებს, რომლებზეც პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს, თვითონ ვერ უპასუხებს.

„გამოძიება ტარდება და დაადგენს ყველაფერს, მეტი რა უნდა გითხრათ,“ - თქვა სუბარმა.

გარდაცვლილის ოჯახის წევრებთან პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია იმყოფებოდა, რომელიც გარდაცვლილის ოჯახს სიმართლის დადგენას დაჰპირდა.

ამასთან, გარდაცვლილი პატიმრის ოჯახთან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა. პრეზიდენტი გოგა ძველაიას ოჯახის წევრებს ესაუბრა და გამოძიების ვერსიებზე ინფორმაცია მიიღო.

გარდა ამისა, არასრულწლოვანი პატიმრის გარდაცვალების საკითხს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს. სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვით, საქმის გამოძიებას ზედამხედველობას პროკურატურა უწევს.

ამასთან, გუშინ გოგა ძველაიას და 23 მაისს გარდაცვლილი ლევან კორტავას ოჯახის წევრები პროკურატურაში იმყოფებოდნენ.

2013 წლის 23 მაისს გარდაცვლილი 24 წლის პატიმრის ლევან კორტავას მამიდა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნავს, რომ გამორიცხული არ არის, გამოძიების დასრულების შემდეგ კიდევ რამდენიმე პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

ხათუნა კორტავას აინტერესებს, რატომ დაგვიანდა ექსპერტიზის დასკვნა. მისი თქმით, აღნიშნული დასკვნის მომზადება პროკურატურამ ხუთი თვის წინ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს შეუკვეთა.

„ექსპერტიზის ბიუროს კომისიური ექსპერტიზის დასკვნის გაკეთება პროკურატურამ მას შემდეგ სთხოვა, რაც ექსპერტიზის პირველადი დასკვნა არასრულყოფილად მიიჩნია. საქმე გახსნილია, თუმცა ძიება ჯერჯერობით არ დასრულებულა. თუ კომისიური ექსპერტიზის დასკვნა ობიექტური იქნება, არ არის გამორიცხული, რომ კიდევ რამდენიმე პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს,“ - აღნიშნა ხათუნა კორტავამ.

ცნობისათვის - 24 წლის ლევან კორტავა მიმდინარე წლის 23 მაისს გარდაიცვალა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ N14 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულის გარდაცვალების სავარაუდო მიზეზზე ორი სხვადასხვა ვერსია გაავრცელა.

სამინისტრომ პირველ განცხადებაში პატიმრის გარდაცვალების მიზეზად მისი კიბეზე დაგორება დაასახელა. მეორე განცხადებაში კი ლევან კორტავას გარდაცვალების მიზეზად, კიბეზე დაგორების ნაცვლად, პატიმრებს შორის მომხდარი კონფლიქტი იყო მოყვანილი. აღნიშნული საქმის გამო რამდენიმე თანამდებობის პირი პასუხისგებაში მიეცა.

ამასთან, სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 2013 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში პატიმართა გარდაცვალების მაჩვენებელი 37.5 პროცენტით არის შემცირებული

უწყების ცნობით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში გატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებების შედეგად, პატიმართა გარდაცვალების მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა და 2013 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გარდაცვალების 5 შემთხვევა დაფიქსირდა.

2013 წელს გარდაცვალების მაჩვენებელი (5 შემთხვევა), 2012 წლის მესამე კვარტალში გარდაცვალების მაჩვენებელთან (8 შემთხვევა) შედარებით, 3 ერთეულით (37.5 პროცენტით) შემცირდა.

ასევე, 2013 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში ამნისტირებულ იქნა 14 ბრალდებული/მსჯავრდებული, ხოლო 2012 წლის განმავლობაში ამნისტია არ განხორციელებულა.

სტატისტიკის თანახმად, 2013 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით 244 მსჯავრდებული იქნა შეწყალებული, 2012 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში კი 246.

რაც შეეხება პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებას კი, სტატისტიკის თანახმად, , 2013 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიისა და ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ 539 მსჯავრდებულის მიმართ, რაც 2012 წლის მესამე კვარტალის მაჩვენებელთან (185) შედარებით 354 ერთეულით გაიზარდა.

სტატისტიკის თანახმად, 2013 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები ჯანმრთელობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო 38-მა მსჯავრდებულმა დატოვა, რაც 2012 წლის მესამე კვარტალის ბოლო მაჩვენებელთან (47) შედარებით 9 ერთეულით შემცირდა.

ამასთან, 2013 წლის მესამე კვარტალის ბოლოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს აღრიცხვაზე მყოფ პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა 17349 დაფიქსირდა, რაც 2012 წლის მესამე კვარტალის ბოლო მაჩვენებელთან (38446) შედარებით 21097 (54.9%-ით) ერთეულით შემცირდა.

პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდის თითოეულ თვესთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შემცირდა. 2013 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში ამნისტირებულ იქნა 186 პირობით მსჯავრდებული, 2012 წლის განმავლობაში კი ამნისტია არ განხორციელებულა.

აბაშაში „ქართული ოცნების„ შტაბის უფროსი მაჟორიტარ დეპუტატს ცემაში ადანაშაულებს

პირველი გვერდიდან

„ნაციონალურ მოძრაობას“ უჭირს, გააცნობიეროს, რომ მოძალადე რეჟიმმა პირველ ოქტომბერს კრახი განიცადა. მათი ზოგიერთი წევრი ბრძოლას ძველი მეთოდებით აგრძელებს. ისინი ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ, რომ ქვეყანას ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება მართავს. გვინდა, განვაცხადოთ, რომ 27 ოქტომბერს საქართველოში უპრეცედენტო, მშვიდი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება. ჩვენს მხარდამჭერებს მოვუწოდებ, რომ 27-ში არჩევნებზე ყველა მივიდეთ და ქართველი ხალხის საბოლოო ვერდიქტი - „არა ნაციონალურ მოძრაობას“ - დოკუმენტურად გავაფორმოთ,“ - განაცხადა ირინა იმერლიშვილმა. მისივე თქმით, დავით ბაქრაძე გუშინ აბაშაში იმყოფებოდა. **„როგორც ჩანს, სტუმრებმა დალიეს და შტაბის წევრს ღამის საათებში სახლში მიუცვივდნენ,“** - დასძენს ირინა იმერლიშვილი.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია კი სამართალდამცავ ორგანოებს ინციდენტის სასწრაფოდ გამოძიებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ყველამ პასუხი უნდა აგოს, ვინც დანაშაული ჩაიდინა. **„როგორც ჩანს, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჰგონიათ, რომ ისევ ის დროა, როდესაც ძალადობითა და უკანონო ქმედებებით ამომრჩეველსა და პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლა შეეძლოთ. არ არის ის დრო, როდესაც მათ ასეთი ქმედებები გასდიოდათ. აქვე მოვუწოდებ სამეგრელოს მოსახლეობას, 27 ოქტომბერს ძალიან აქტიური იყოს, რათა სამეგრელომ, ისევე როგორც დანარჩენმა საქართველომ, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანოს,“** - ამბობს ეკა ბესელია.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ თინა ბოკუჩავას ინფორმაციით, აბაშის მაჟორიტარი დეპუტატი პროკურატურაშია დაბარებული, რასაც ბოკუჩავა წინასაარჩევნო ზეწოლად მიიჩნევს. **„იმის ნაცვლად, რომ ადეკვატური რეაგირება მოხდინონ, ჩვენს დეპუტატ დავით დარცმელიძეს ადანაშაულებენ**... ისინი მიხვდნენ, რომ აბაშაში არჩევნებს აგებენ და ცდილობენ, ვითარება ამ გზით შეცვალონ. აუცილებლად მოვითხოვთ გამოძიებას და შევიტანთ საჩივარს.“

ბოკუჩავა იმერლიშვილსაც ეხმიანება. **„ირინა იმერლიშვილმა სამარცხვინო განცხადება გააკეთა, სადაც იგი ძალადობის გამართლებას ცდილობს. პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც კახა მიქაია და მისი ჯგუფი ძალადობას სჩადიან. მათ ჩვენს საპრეზიდენტო კანდიდატს ზუგდიდში „ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერის დროს ქვები და ბოთლები დაუშინეს,“** - ამბობს ბოკუჩავა.

საკუთარი ინფორმაცია

ევროპაში ფლეი ოფის წყვილები გამოვლინდა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კენჭისყრა შვეიცარიის ნაკრების ყოფილი წევრის, დღეს კი ვეტერანი ვარსკვლავის, ალექსანდერ ფრაის (ნაკრებში 84 მატჩში გატანილი აქვს 42 გოლი, რაც ყველა დროის საუკეთესო მაჩვენებელია შვეიცარიელი ფეხბურთელისგან) დახმარებით ფიფაში შესარჩევ ტურნირზე პასუხისმგებელმა გორდონ სავიჩმა ჩაატარა.

კენჭისყრას ესწრებოდნენ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებისთვის მებრძოლი ნაკრებების მთავარი მწვრთნელები ნიკო კოვაჩი (ხორვატია), დიდიე დეშამი (საფრანგეთი), ფერნანდო სანტოსი (საბერძნეთი), ლარს ლაგერბეკი (ისლანდია), პაულო ბენტო (პორტუგალია), ვიქტორ პიტურცე (რუმინეთი), ერიკ ჰამრენი (შვედეთი) და მიხაილ ფომენკო (უკრაინა).

ბრაზილიის საგზურს დაეპატრონება ის გუნდი, რომელიც ორი მატჩის ჯამში ყველაზე მეტ გოლს გაიტანს, ფრის შემთხვევაში კი საგზურს დაეუფლება ის გუნდი, რომელსაც მეტი გოლი ექნება სტუმრად გატანილი. თუ ვერც აქ გამოვლინდება გამარჯვებული, განმეორებით მატჩში დაინიშნება დამატებითი დრო - ორი 15-წუთიანი ტაიმი (აქაც სტუმრად გატანილ გოლებს მიენიჭება უპირატესობა). დამატებითში უგოლობის შემთხვევაში კი საქმე მივა პენალტებამდე, როგორც ამას საფეხბურთო წესები განაპირობებს.

ფლეი ოფის წყვილები:
პორტუგალია - შვედეთი
უკრაინა - საფრანგეთი
საბერძნეთი - რუმინეთი
ისლანდია - ხორვატია

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებები (ევროპა)

ბელგია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, გერმანია, ესპანეთი, ინგლისი, იტალია, რუსეთი, შვეიცარია, ჰოლანდია.

19-წლამდელი ბორჯღალოსნები ევროპის ჩემპიონატს იწყებენ

ლისაბონი ფირა აერის ეგიდით 19-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ემზადება (26 ოქტომბერი - 2 ნოემბერი). აქ გამარჯვებული ნაკრები 2014 წლის აპრილში ჰონგ კონგში 20 წლამდელთა მსოფლიო ალაფაზე იასპარეზებს.

19-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ საქართველოს, პორტუგალიის, ბელგიის, ესპანეთის, რუმინეთის, რუსეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის ნაკრებები.

განთესვის მიხედვით, ქართველები თავიანთ პირველ მატჩს 27 ოქტომბერს, ადგილობრივი დროით 15:00 საათზე, ჩეხეთის ნაკრებთან გამართავენ. გამარჯვების შემთხვევაში ჭაბუკი ბორჯღალოსნები 30 ოქტომბერს, 17:00 საათზე, ესპანეთსა და რუმინეთს შორის გამარჯვებულს შეერკინებიან ტურნირის ნახევარფინალში, ფინალი კი 2 ნოემბერს, 17:00 საათზე გაიმართება.

«წინა სატურნირო შეკრებამ ნაყოფიერად ჩაიარა. ჩვენ ორი სპარინგი გავმართეთ. ბიჭების მომზადებით კმაყოფილი ვარ. ნაკრები ინტენსიურად ვარჯიშობდა მომავალი ჩემპიონატისთვის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლისაბონში ტურნირის მოსაგებად მივემგზავრებით," - განაცხადა 19 წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა დავით ვართანიანმა.

საქართველოს 19-წლამდელთა 26-კაციანი რაზმი

შერკინება: 1. ზაზა ხარებავა (არმია), 2. დავით ფხაკაძე (არმაზი), 3. გიორგი მარგველანი (არმაზი), 4. ბექა კაკაბაძე (ლოკომოტივი), 5. გიორგი ტორაძე (აია), 6. ბადრი ალხაზაშვილი (აკადემია), 7. როლანდ კვაჭაძე (ლელო), 8. ბესიკ ბარბაქაძე (არმაზი), 9. ნიკა გიგაური (არმაზი), 10. ბადრი დანგაძე (აია), 11. საბა შუბითიძე (აკადემია (კაპ.), 12. დავით პაპავაძე (ჯიქები), 13. თორნიკე ბუბუტეიშვილი (ლელო),

14. ჟორა მღებრიშვილი (ხარები).

ნახევარდაცვა: 15. თემურ თუთბერიძე (აია), 16. რევაზ ბროძელი (არმაზი), 17. რეზი ჯინჭველაშვილი (აია).

უკანა ხაზი: 18. გიორგი ნათელაშვილი (ხარები), 19. გიორგი ტალახაძე (ხულიგანა), 20. თემურ ირემაძე (აია), 21. ანზორ სიჭინავა (აკადემია), 22. ბადრი ლიპარტელიანი (არმაზი), 23. მურაზ გიორგაძე (ვეფხვები), 24. დავით გულიტაშვილი (ხარები), 25. გიორგი აფციაური (არმია), 26. ირაკლი სვანიძე (ჯიქები).

2015 წლის ევროპის ჩემპიონატს ძალოსნობაში თბილისი უმასპინძლებს

ევროპის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარების შესახებ ოფიციალური დადასტურების წერილები საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს, დავით ბეჟუაშვილს და გენერალურ მდივანს, რამაზ გურგენიძეს ევროპის ძალოსნობის ფედერაციიდან მიუვიდათ.

ჩემპიონატის გამართვაზე ოფიციალური განაცხადი საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ 2012 წელს გააკეთა. საბოლოო გადაწყვეტილება კი ევროპის ძალოსნობის ფედერაციის აღმასრულებელმა საბჭომ ტალინში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მიიღო.

საბოლოო გადაწყვეტილებით, ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც კონტინენტის უძლიერესი ძალოსნები მიიღებენ მონაწილეობას, 2015 წლის აპრილში თბილისში გაიმართება.

2013 წელს ევროპის ჩემპიონატი ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში ჩატარდა, 2014 წლის 8-14 აპრილს ევროპის უძლიერესი ძალოსნები თელ ავივში შეიკრიბებიან, 2015 წელს კი თბილისი იქნება მასპინძელი.

ქართველი ძალოსნები პოლონეთის ქალაქ ვროცლავში არიან, სადაც 2013 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება. ჩემპიონატზე საქართველო ოთხი ძალოსნით არის წარდგენილი - შოთა მიშველაძე (69 კგ), გიორგი ლომთაძე (77 კგ.), ალბერტ კუზილოვი (105 კგ.) და ლაშა ტალახაძე (+105 კგ.).

სამინისტროს პრესსამსახური

ხაბელოვის თქმით, სოჭი 2014-ის წინააღმდეგ მომზადებული პეტიცია სპორტსმენებზე ზეწოლაა

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის, ლერი ხაბელოვის განცხადებით, სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის წინააღმდეგ გამართული აქციები და პეტიცია ზეწოლაა სპორტსმენებზე და მონოდება, რომ ოლიმპიურ თამაშებში არ მიიღონ მონაწილეობა.

«ოლიმპიურმა კომიტეტმა სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში საქართველომ მონაწილეობა მიიღოს. ეს აქციები, პეტიცია სპორტსემენბზე ზეწოლაა, სპორტსმენს მოუწოდებს - არ უნდა წახვიდე სოჭში. როდესაც სპორტსმენი იწყებს ვარჯიშს, მას აქვს მიზანი. ეს პრინციპია და ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის აზრი სწორედ ამაში დევს," - განაცხადა ხაბელოვმა. მისივე თქმით, თუ საზოგადოება სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას შეურაცხყოფად მიიღებს და სიტუაცია დაიძაბება, თამაშებზე უარის თქმა ადვილია.

ხაბელოვმა ეს განცხადება გააკეთა შეხვედრაზე, სადაც »ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო პროგრამას წარადგენდა. შეხვედრას ესწრებოდნენ მოქმედი და ვეტერანი სპორტსმენები, ოლიმპიური კომიტეტის წევრები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი.

news.ge

სოჭი 2014-ის საორგანიზაციო კომიტეტის გამოხმაურება ქართულ მხარესთან

ბატონ ემზარ ზენაიშვილს
საქართველოს ეოკ-ის გენერალურ მდივანს

ა.წ. 9 ოქტომბერს დსთ-ის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს რეგიონულ ფორუმზე საქართველოს ეოკ-ის მიერ გამოთქმული შეშფოთებისა და ასევე 2013 წლის 10 ოქტომბერს სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტის, ბატონი ელგუჯა ბერიშვილისგან მიღებული ელექტრონული ფოსტის საპასუხოდ გვსურს მოგახსენოთ:

სოჭი 2014 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობს მხოლოდ სოკ-ის მიერ აღიარებულ ეოკ-ებთან და ორგანიზაციებთან; თამაშების სააკრედიტაციო სისტემაში შეტანილია ქვეყნების ორი სია:

- პირველი მოიცავს სოკ-ის მიერ აღიარებულ ეოკ-ებს
- მეორე სიაში კი შეტანილია აპლიკანტების ქვეყნების კოდები, რათა აღინიშნოს აპლიკანტების მოქალაქეობა, დაბადების ქვეყანა და ასევე მათი საცხოვრებელი ადგილი. ქვეყნები აღნიშნულ სიაში შეტანილია მსოფლიო ქვეყნების რუსეთის კლასიფიკაციის საფუძველზე.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ ოლიმპიურ თამაშებზე არავინ იქნება აკრედიტებული აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის სახელით, რადგან, როგორც თქვენ უკვე სწორად აღნიშნეთ თქვენს გამოსვლაში, სოკ-ი აღიარებს საქართველოს ეოკ-ს და მის იურისდიქციას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

მოუთმენლად ველით თქვენს დელეგაციას სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე.

საუკეთესო სურვილებით,
დენის სეკაჩოვი
სოჭი 2014 საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი

geonoc.org.ge

საკონტინენტთაშორისო თასზე ქართველმა «თავისუფლებმა» სამი მედალი მოიპოვეს

ხასავიურტის საკონტინენტთაშორისო თასი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებისთვის ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედლით დასრულდა.

ბექა ბუჯიაშვილის (55 კგ.) ოქროსა და ლევან ქელეხსაშვილის (66 კგ.) ვერცხლს ტურნირის მეორე დღეს ჩემპიონობით დაუსვა წერტილი გიორგი საკანდელიძემ (მძიმე წონა).

მომავალმა ჩემპიონმა ფინალისკენ მიმავალ გზაზე რუსეთისა და აზერბაიჯანის ნაკრების წევრები დაამარცხა, ფინალში კი დაღესტნელ ასლანბეკ ალიევს აჯობა და ზედიზედ მეორედ გახდა საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული.

ბუფონი კოლეგა კასილიასით აღფრთოვანებულია

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი მადრიდის „რეალის" მეკარით იკერ კასილიასით აღფრთოვანებას ვერ ფარავს. ამბობს, ჩემთვის ძალიან ძნელი იქნებოდა ასეთ ვითარებაში ყოფნა, მით უმეტეს, თავს კარგ მეკარედ ვთვლი. იკერის თავდაჭერილობა ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ზუსტად არ ვიცი, „რეალში" რა მოხდა, მაგრამ მგონია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ კასილიასის სათამაშო თვისებებთან, არამედ კლუბში მის მიმართ დამოკიდებულებასთან.

„კასილიასი სათადარიგოთა სკამზე უჩვეულო სანახავია, მაგრამ პატივი უნდა ვცეთ დიეგო ლოპესს, რომელმაც თავისი მაღალი კლასი დაამტკიცა", - ბუფონის სიტყვებს ახმოვანებს Football Espana.

სომხეთის ნაკრები მწვრთნელმა დატოვა

სომხეთის საფეხბურთო ნაკრებს ახალი მწვრთნელის ძებნა მოუწევს - ვარდან მინასიანი თანამდებობიდან თავისი ნებით წავიდა. მართალია, სომხეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულების ვადა 31 ოქტომბერს ეწურება, მაგრამ მას ნაკრების სათავეში დარჩენას სთხოვდნენ, მაგრამ მინასიანმა არ ისურვა დარჩენა.

„ფედერაციის პრეზიდენტ რუბენ აირაპეტიანს ვესაუბრე. მან დარჩენა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი და მადლობა გადავუხადე ნდობისთვის. ჩემთვის სომხეთის ნაკრების მწვრთნელობა დიდი პატივია, მაგრამ ვაპირებ, სხვაგან გავაგრძელო კარიერა. უცხოეთიდან რამდენიმე შემოთავაზება მაქვს", - ამბობს ვარდან მინასიანი.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink